განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის ინიცირების მიზეზია, საქართველოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დამფუძნებელი შეთანხმებების საქართველოს მიმართ მოქმედების შეწყვეტის თაობაზე მიღებული დადგენილებები. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის დადგენილებები საქართველოს მიმართ შემდეგი ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმების" (2008 წლის 14 აგვისტოს N241–რს), „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდების" (2008 წლის 14 აგვისტო N240–რს) და „ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ 1993 წლიდს 24 სექტემბრის ხელშეკრულების" (2008 წლის 14 აგვისტო N239–რს). აღნიშნული შეთანხმებების მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, პოლიტიკურად მიზანშეუწონელი გახდა საქართელოს პარლამენტის წევრობა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში".

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:

დადგენილების პროექტის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს მიმართ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შესახებ 1995 წლის 26 მაისის კონვენციის" მოქმედების შეწყვეტა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით საქართველოს პარლამენტი წყვეტს თავის წევრობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი დადაგენილების პროექტი არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი დადაგენილების პროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

დადგენილების პროექტი არ გამოიწვევს ფინანსურს შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება აღნიშნულ პირთა დადაგენილების პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

დადგენილების პროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

<u>გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან :</u>

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

დადგენილების პროექტით წყდება საქართველოს წევრობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში, საქართველო იხსნის ამ ორგანიზაციის წევრობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდდებულებებს და იგი არ უკავშირდებოდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

<u>დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:</u>

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

საგარეო საქმეთა სამინისტრო,

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დადგენილების პროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.

დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორი არის საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.